

1-22 სტრ., 1r

და მისაშველებლად გაგზავნა და თვით მეფე ირაკლი კახეთს წავიდა ჯარე ბის გამოსაყვანათ ლეკთაც თიღვა ვედარ აიღეს შემოეცალნენ თიღვას გამობრუნდნენ და პატარა ლიახვს გამოლმა თარეში გამოუშვეს კარბს რომ მოვიდნენ იმ დროს ეს ჯიმშერ ერის თავი და გივი ამილა ხვარი შემოეყარნენ ამ ჩერქეზის ჯარით შეუტიეს და ლეკის ჯარი დაამარცხეს და მრავალი ლეკი მოკლეს წამოვიდნენ და ქალაქს მეფეს თეიმურაზ თან ჩამოვიდნენ და მეფე ირაკლიც ჩამოვიდა კახეთის ჯარითა და ორნივე მეფენი ქართლისა კახეთისა და ჯერქეზის ჯარითა თბილისიდან გავიდნენ ესენი რომ მივიდნენ სონღალულში ბაიდრედამ აჯი ჩალაბაშვილი აღა ქიში და სხვა ხანებიცა ვინც იყვნენ აიყარნენ და უკან გაბრუნდნენ და ყაზახში მივიდნენ ეს მეფენი რომ გატეხილ ხიდზედ მივიდნენ ის ხანები გემი ყაიადამ აიყარნენ და გაქცეულასვით დიალსაჩქაროთ წავიდნენ შამშადილში თიუზედ მივიდნენ და იქ ორ დასტათ გაიყვნენ და დაემალნენ ქართველთა და კახთა იმათი ასე საჩქაროთ წასვლა რომ ნახეს ამათაც და სტები მომალეს და ჩაფულად ცხენ ჭენებით გამოუდგნენ მეფე თეიმურაზ წყნარა დასტა და წყობოთ წავიდა და მეფე ირაკლი წინ თიუზზე რომ მივიდნენ თავ წვრილად ჩვენი ჯარი ისინი დასტა დაწყობილნი მზირათ უდგნენ ამ თავ წვრილად მისულს ჩვენ ჯარს შემოუტიეს და მრავალი კაცი მოკლეს ამაზედ მასწრა მეფემ ირაკლიმაცა და ფიცხელი ომი მოუხდათ მოსცა ღთნ მეფეს ირაკლის[მ] დაგაემარჯვა დამრავალი კაცი მოკლეს და დაიჭირეს ოცდა ათი ვერსი მეტი სდივეს და დაბრუნდნენ გამარჯვებულნი და მოვიდნენ ტფილისს

1-26 სტრ., 1v

წელსა 1753 ქკს ჟმბ ასტყდნენ დაღისტნელნი ორასობით და სამასობით დაიწყეს რბევა ქართლისა და კახეთისა და დიდად შეაჭირვეს მრავალს ადგილს დახვდნენ ეს მეფენი ამ ქურდულად მატარებელს ლეკის ჯარებს და დაამარცხეს მაგრამ მაინც არ დასცხრნენ დაღისტნელნი ლეკნი ქართლისა და კახეთის ტყვევნისა და ოხრებისაგან:

წელსა 1754 ქკს ჟმბ ავარის ხანმან ხუნძახის ბატონმა ომარხან, შემოიყარა დაღისტნის ჯარები და გამოვიდა უგრძნეულად შიგნით კახეთში დაწვა და მოარბივა [აჰ] კახეთი შემოიარა და შევიდა არაგვზედ დუშეთს, შემოადგა კობაანთ ციხეს და აიღო ჩამოვიდა მჭადის ჯვარს. შემოადგა- მეფე ირაკლი [-] კახეთიდან წამოვიდა ჯარით და არაგვზედ დუშეთს- მოვიდა მეფე თეიმურაზცა წამოვიდა ზემო ქართლიდან ჯარით და არაგვზედ მოვიდა დუშეთს მეორეს დღეს მოვიდნენ ეს მეფენი მჭადისჯვარს. ჭილურტის მხრიდან შემოე[-]ბნენ ხუნძახის ბატონს ომარხანს მოსცა ღთნ ძლევა მეფეთა და გაემარჯვათ და დაამარცხეს [მჭხრანის] ხუნძახის ბატონი და მრავალი ლეკი მოკლეს და წარვიდა ხუნძახის ბატონი მეოტი დაღისტანში და მოვიდნენ. მეფენი ტფილისს გამარჯვებულნი. გარნა არა დასცხრნენ ლეკნი ქურდულად ოხრებად ქართლისა და კახეთისა და კუალად შეკრბნენ დაღისტნელნი მივიდნენ და დირბის ციხეს შემოადგნენ მივიდნენ მეფენი და დაამარცხეს ლეკის-ჯარნი და განარინეს ციხე აღებისაგან- -

წელსა 1755 ქკს ჟმბ კუალად შემოიკრიბნა ავარის ხანმან ხუნძახის ბატონმა ომარხან დაღისტნის ჯარი და ჩამოვიდა და მოადგა ყვარელის ციხეს. ამას მოერთნენ ჭარელნი და შაქ შირვანელნი და შეკრბნენ ვიდრე ოცდა ოთხი ათა სამდე [აჰ] ოცდა რვა დღე ადგნენ და შეამჭირვეს ყვარელის ციხე და- მეფეთ შეეშველეს ციხეში ორასი კაცი მეფე თეიმურაზ დადგა თელავს

და მეფე ირაკლი ჩავიდა ქსიყს ამან შეკრიბნა მხედრობანი და გაუსივა  
ჭარს მოწვეს და მოარბივეს ამის მცნობნი ჭარელნი აირივნენ ყუარე  
ლიდამ

1-19 სტრ., 2r

სიცოცხლესა შინა თვისსა განჯა ყარაბალი და ერევანი მოხარკეობასა თვისსა  
ამან მეფემან ირაკლიმ განაახლა ციხე გორისა გააკეთა გალავანი ქცხინ  
ვალისა გალავანი შინდისისა არადეთისა და იმის მეფობა[=]ასა [=]შინა  
გაკეთდა ქართლსა შინა სოფელთა გალავანნი და ქვიტსკირის ბურჯნი. ვი  
დრე ასამდე სიმაგრისათვის და გალავანი ქოლაგირისა  
და აგრევე კახეთს გაკეთა[=] ციხე ბოჭორმისა ციხე ჭოეთისა გალა  
ვნები თელავისა გალავანი ყვარელისა შილდისა საბუისა გრემისა  
გალავანი სიღნაღისა თედისა პატარძეულისა და ნორისა და ვიდრე  
სამოცამდე წვრილ წვრილი გალავანნი და ბურჯნი სიმაგრისა თ  
ის ვიდრე სამოცამდე და გარადიცვალა წელსა 1798 ქ კს ჴჰვ  
იანვრის .ია

მეფემან ირაკლიმ მოაქცია ყი გონება თვისი ამისადმი რათა ეპოვნა ქვეყ  
ანასა შინა მადანი რომელი არა ყოფილიყო და მოა[ლ]ყვანინა საბერძნეთი  
თ მადან ჩები და მრავალს ადგილს ეძება და დიდი ღვაწლი დადვა  
და იპოვა დებედას ხეობაზედ მელიქიანთ სოფელში ახტალას ოქროსი  
ვერცხლისა და ტყვიის მადანი მრავალად და გამართნა ზაოდნი და ამუ  
შავებდა და კვალად ამავე ხეობაზე არღუთაანთ მამულში სპილენძის  
მადანი და ამასაც ამუშავებდა და იყო ამა მადნების მუშაობითა. საქ  
ართველო სარგებლობასა დიდსა